

დ. მესტია – მყინვარი ჭალაად

მარშრუტის სახეობა: ქვეითი; სიგრძე: 19 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა: 6-8 საათი
სიმაღლე: საწყისი - 1400 მ; ბოლო - 1920 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე, საავტომობილო
სასურველი პერიოდი: 1 ივნისი - 30 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, კლდეებზე

მარშრუტი იწყება (1) მესტიის ცენტრში საინფორმაციო ბოძიდან (1400 მ.) მიჰყვება ცენტრალურ ქუჩას აეროპორტის მიმართულებით, დაახლოებით 500 მეტრში გადადის მესტია ჭალაის ხიდზე და საავტომობილო გზით გრძელდება. 700-800 მეტრში ჩაუვლის აეროპორტს და გრუნტის გზით მიემართება ჩრდილოეთით მდ. მესტიაჭალაის მარცხენა ნაპირზე, ჩაუვლის ს. ლავლაადაშს (2) და გაედლება დალაღახვრას კლდოვანი მასივის (3430მ) მიმართულებით. სტარტიდან დაახლოებით მე-7 კილომეტრზე, 1650მ ზ.დ. მდ. მესტიაჭალაის, რომელიც ლეხიზირის მყინვარიდან იღებს სათავეს და ჩრდილოეთიდან მოედინება, უერთდება მარჯვენა შენაკადი – მდ. ჭალაადი. მდინარეების შესართავიდან 200 მეტრით ზემოთ ვიწრო კიდული ხილით (3) გადავლივართ მდ. მესტიაჭალაის მარჯვენა ნაპირზე. ხილიდან ჩრდილოეთით მოჩანს მდ. მესტიაჭალაის ხეობა და მწვერვალები: ლუნხე და ულუთაუნანა. ხიდის მერე მარჯვნივ და ზიგზაგებით ბილიკი შედის ტყეში, მარცხნივ იტოვებს მესაზღვრეების ქოხს (აქ საჭიროა რეგისტრაცია) და მიყვება მდ. ჭალაადის მარცხენა ნაპირს დინების საწინააღმდეგოდ. ზღვის დონიდან 1800მ-ზე მარშრუტი გადაის ქვა-ლორდიან ფერდობზე მივდივართ მყინვარამდე. 1920 მ-ზე (4) მარშრუტი მთავრდება. აქედან ჩანს ჭალაადის ყინულფარდნილი და გლუტჩნერული ჩამონატანი, საიდანაც სათავეს იღებს მდ. ჭალაადი. საქართველოს მყინვარებს შორის მყ. ჭალაად ერთადერთია, რომლის ენაც 2000 მ-ზე დაბლა, ტყის ზოლს ქვემოთ ჩამოდის. მყინვარი ყალიბდება მწვერვალ ჩათინის (4370 მ) რაიონში. ჩათინის ჩრდილოეთი კედელი, რომელიც ალპინისტურ ლიტერატურაში ჩათინის რომბის სახელითაა ცნობილი, ითვლება კავკასიონის ერთ-ერთ ურთულეს ალპინისტურ ასვლების ობიექტად.

დ. მესტია – ტბები ქორულდ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 15.6 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა (ქვეითად): – 8 საათი
სიმაღლე: საწყისი - 1400 მ; საბოლოო – 2740 მ
გზის სახეობა: ბილიკი, საავტომობილო
სასურველი პერიოდი: 15 ივნისი – 30 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, ხის ბოძებზე

მარშრუტი იწყება მესტიის ცენტრში (1400 მ), (1) ვიტორიო სელას ქუჩით გაივლის ლეხთავის უბანში, გადას დედეში, უბნის ბოლოდან 200 მეტრში მარჯვნივ აუხვევს სამრხილე გზაზე და ციცაბო აღმართით, ტყე-ტყე მიემართება ჩრდილოეთით, ცხაკვაგარის მთამდე. (აქ დგას თვალსაწიერი ბინოკლით). 2200 მ-დან იწყება ალპური ზონა (3). აქედან იშლება უჩვეულოდ ღამაში პანორამა: სამხრეთით ჩანს სვანეთის ქედი და დაბა მესტია, ჩრდილოეთით – მწვერვალები: უშბა, ჩათინი, ბუედეუხი. ვაგრძელებთ მოძრაობას ჩრდილოეთით, გზად ჩაუვლით მწვემსების ხის საზაფხულო ქოხებს, სადაც შესაძლებელია შესაბამისი ანაზღაურებით დავაგემოვნოთ ეკოლოგიურად სუფთა რძის პროდუქტი. ვაგრძელებთ მოძრაობას ე.წ. ღამაჯამდე, სადაც დადგმულია რკინის მეორე ხანიშნე ბოძი (4), რომელიც განსაზღვრავს ჩვენი შემდგომი მოძრაობის მიმართულებას. ვმოძრაობთ ალპურ მინდვრებში კარგად გამოკვეთილი ბილიკით ქორულდის ტბებისკენ. მოძრაობას გვიადვილებს ხის მარკირებული ბოძები. ირგვლივ მთებია: პირდაპირ უშბისა და ჩათინის მასივი, მარჯვნივ, დალაღახვრა აღმოსავლეთით ბანგურიანის მთა და უფრო შორს თეთნულდის თოვლიანი კონუსი; სამხრეთით – სვანეთის ქედი. 2740 მ-ზე ზღვის დონიდან მივალთ ქორულდის ტბებთან. ვეშვებით იგივე გზით, დიდ რკინის ჯვართან გადავივართ გრუნტის საავტომობილო გზაზე და სათიბების გავლით მივდივართ მდინარე მესტიაჭალაის ხეობისაკენ. 1900 მ-ზე საავტომობილო გზიდან გადავუხვევთ სამარხილე გზაზე. აქედან კარგად ჩანს მესტიის ძველი უბანი ღანჩვალი, საითკენაც ბილიკით ვეშვებით.

დ. მესტია – ქელი ზურულდ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 14 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა ქვეითად: 6 საათი
სიმაღლე: საწყისი - 1400 მ. საბოლოო - 2330 მ.
გზის სახეობა: საავტომობილო, საბაგირო
სასურველი პერიოდი: მთელი წელი

მარშრუტი იწყება მესტიის ცენტრში, საინფორმაციო ბოძიდან (1400მ) (1). სამხრეთით, მუხუჟუმის მიმართულებით, დაახლოებით 500 მეტრში გადადის მდ. მესტიაჭალაის და მდ. მულხურას ხიდებზე. აქედან წყალღამა დაახლოებით 200 მეტრში ეს ორი მდინარე ერთდება და ღრმა ტროგული ხეობით სოფელ ლატალისაკენ მიედინება, სადაც სვანეთის მთავარ არტერიას, მდ. ენგურს უერთდება. მუხუჟუმიდან მარცხნივ მიუყვება ბეტონირებულ გზას, რომელიც მიემართება ჰაწვალის საბირო გზასთან. პირველ გზის გასაყართან მივდივართ მარჯვნივ (2), ხოლო მეორე გზის გასაყართან მარცხნივ (3). ამ გზით 9 კმ-ს გაივლის, შემდეგ მივიყვანს საბაგირო გზის ქვედა სადგურთან (4). აქიდან ქედზე მოხვედრის ორი ვარიანტია: 1. საბაგიროთი გამგზავრება; 2. საბაგიროს ქვეშ გამავალი გრუნტის სამეურნეო გზით ფეხით ასვლა. საბაგიროს ზედა სადგურთან (5) მდებარეობს რესტორანი და თვალსაწიერი ბინოკლით. (2330 მ) ქელიდან გამოჩნდება: სამხრეთით სოფლები-იელი, წვირში, დასავლეთით-ლატლი, ცხუმარ, ლენჯარ, მესტია. ჩრდილოეთით მთელი დიდებულადით ჩანს მთავარი კავკასიონის მწვერვალები: მახეერ, უშბა, ჩათინ, თავისუფალი ესპანეთი, ბუედუხ, ჯანტუგან, დალაღახვრა, ბანგურიან, გესტოლა, თვეთუნდ და სხვა. ხოლო სამხრეთით სვანეთის ქედის მწვერვალები, მათ შორის უმაღლესი-ლაჰილ 4010 მ. ზაფხულობით, თუ საბაგიროს ქვედა სადგურთან დაიქირავეთ ველოსიპედებს, შემოვლითი გზით შესაძლებელია ზედა სადგურიდან ქვედა სადგურამდე დაშვება.

დ. მესტია – ს. ჟაბეშ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 14 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა ქვეითად: 8 საათი
სიმაღლე: საწყისი - 1400 მ. საბოლოო - 1650 მ.
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 15 მაისი- 30 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე

მარშრუტი იწყება მესტიის ცენტრში, საინფორმაციო ბოძიდან (1400 მ) (1), მიემართება მუხუჟუმის მიმართულებით, დაახლოებით 500 მეტრში, გადადის მდ. მესტიაჭალაის ხიდზე, იქვე უხვევს მარცხნივ და საავტომობილო გზით მიემართება ყოფილი ალპინისტური ბაზისაკენ. პირდაპირ ვხვდავთ მწვერვალ თეთუნდის კონუსს. ალპინისტური ბაზის ჭიშკართან (2) მარშრუტი უხვევს ხელმარჯვნივ და სამარხილე გზით შეუყვება აღმართს, შევდივართ სავარგულებში. ალპინისტური ბაზიდან 60-70 წუთის მოძრაობის შემდეგ სათიბებს გადაკვეთს ღელე. არმისული ღელემდე, მარშრუტი უხვევს მარჯვნივ და ცუდად გამოკვეთილი ვიწრო, ციცაბო გზით შედის ტყეში. სამარხილე გზაზე გასვლის შემდეგ ვუხვევთ მარჯვნივ 1900 მ-ზე გადავსერავთ კახურის ქედს - ეს მარშრუტის უმაღლესი წერტილია. (3) ჩვენს თვალწინ გადაიშლება მდ. მულხურას ხეობის ხედი. ვიწყებთ დაშვებას სამარხილე გზით. 150-200 მეტრში ხელმარცხნივ ავუხვევთ ძნელად შესამჩნევ ბილიკზე, რომელიც ბეჭობზე გაშენებული ფიჭვნარისაკენ მიემართება. გამოჩნდება მულახის სოფლები: ზემოდან გაუფლეთ სოფელ მურშეკელს, საიდანაც ვმოძრაობთ სამარხილე გზით. ჩვენ სწავად და შეუმჩნევლად ვკარგავთ სიმაღლეს. 1700 მ-დან სამანქანო გზით ვეშვებით დაბლა, ს. ჟამუშის გავლით გადაკვეთთ მდ. ხერაშს და შევდივართ ს. ჭოლაში, ბოლოში ისევ ვეშვებით მარჯვნივ, მდინარისკენ და 1600 მ სიმაღლეზე ვაგრძელებთ მოძრაობას მდ. მულხურას მარჯვენა სანაპიროთი წყალღამა მარჯვნივ ფერდზე დაეინახათ ს. ჟაბეშს 1650 მ (1)

დ. მესტია – თემი წვირმი

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 16 კმ
მგზავრიბის ხანგრძლივობა (ქვეითად): 8 საათი
სიმაღლე: საწყისი 1400 მ; ბოლო 1900
გზის სახეობა: ბილიკი, საავტომობილო
სასურველი პერიოდი: 1 ივნისი – 30 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე

მარშრუტი იწყება მესტიის ცენტრიდან (1400 მ) (1), 500 მეტრში გადადის მდ. მესტიაჭალაისა და მდ. მულხურას ხიდებზე, სანიშნე ბოძთან, მარჯვნივ მოიტოვებს მუხუეუმს და ბეტონირებული გზით მივლივართ კურორტის მიმართულებით. მესტიიდან დაახლოებით მე-7 კილომეტრზე ს. იელისკენ ვაგრძელებთ გზას, ნასოფლარ ხეშკილთან დგას სანიშნე ბოძი. აქ გზა ორად იყოფა – ვიძრობოთ პირდაპირ, მარჯვენა განშტოებაზე, ს. იელისაკენ. გზის სიმაღლის პროფილი მერყეობს 1750-2000 მ ფარგლებში. ხელმარჯვნივ მუდმივად ჩანს სვანეთის ქედი და მისი დათოვლილი მწვერვალები. პირდაპირ შიგადაშიგ გამოჩნდება სოფლები – იელი, აც, წვირმი, ზეგან და მდ. ენგური, რომელიც 1400მ სიმაღლეზე ღრმა კანიონში მიედინება. მესტიიდან მეათე კილომეტრზე მარშრუტი გაივლის ს. იელიში (5). ეს ერთადერთი ადგილია დედამიწაზე, სადაც დღემდე შემორჩენილია მდინარეებში ცხვრის ტყავით ოქროს გამოლექვის ანტიკური მეთოდი (ე.წ. ოქროს საწმისი). იელიში საავტომობილო გზა მთავრდება. სოფლის თავში მარშრუტი კარგად გამოკვეთილი დამრეცი ბილიკით შედის ტყეში. 2010 მ-ზე ბილიკი ორად იყოფა. ჩვენი ბილიკი (მარჯვენა განშტოება) მკვეთრად ეშვება, მალე გამოდის ტყის ზოლიდან, მინდორ-მინდორ მიემართება დელესაკენ, გადაკვეთს მას და უკვე სამარხილე გზით მიდის ს. წვირმისაკენ, რომელიც დელედან 15-20 წუთის სავალშია. ს. წვირმი (1) განლაგებულია ზეგანზე 1900 მ სიმაღლეზე. იგი გამოირჩევა ეკლესია-სალოცავების სიმრავლით. სოფლის ცენტრში დადგმულ სანიშნე ბოძის მახლობლობლად მარშრუტი მთავრდება.

დ. მესტია – ს. მაზკერ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 17 კმ
მგზავრიბის ხანგრძლივობა (ქვეითად): 9 საათი
სიმაღლე: საწყისი 1400 მ; საბოლოო 1650 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 20 ივნისი – 30 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, ხის ბოძებზე

მარშრუტი იწყება მესტიის ცენტრში 1400 მ (1), ვიტორიო სელას ქუჩით გაივლის ლეხთაგის უბანში, უბნის ბოლოდან 200 მეტრში მარჯვნივ აუხვევს სამარხილე გზაზე და ციცაბო აღმართით, ტყე-ტყე მიემართება ჩრდილოეთით, ცხაკეზაგარის მთამდე, სადაც დგას რკინის სანიშნე ბოძი (3). აქ მთავრდება ტყიანი ზოლი და მოძრაობა გრძელდება ალაპურ მდელეობზე ლამაჯას ქედის მიმართულებით. ლამაჯაზე (4) ბილიკი ორად იყოფა. მივეყვებით ჩრდილო-დასავლეთით – გულის უღელტეხილიკენ. მოძრაობას ვაგრძელებთ ქვაბულის ნახევარწრის შემოსავლელად. მარკირებისთვის გამოყენებულია ხის ბოძები. სიმაღლე მერყეობს 2350-2400 მეტრის ფარგლებში. ქვაბულის ბოლოს ბილიკი გადაკვეთს ხევს ორი დელის შეერთების ადგილას. ეს მონაკვეთი დამრეცი და რთულია. დელედან ბილიკი მიემართება სანიშნე ბოძისაკენ, რომელიც დგას ქედზე 2450 მ-ის სიმაღლეზე. შემდეგ სანიშნე ბოძთან ბილიკი უხვევს მარჯვნივ და ადის უღელტეხილზე. უღელტეხილიდან ვაგრძელებთ მოძრაობას ხელმარჯვნივ ქედზე, კვლავ ვიღებთ სიმაღლეს შემდეგ ხის ბოძამდე (7). ხის ბოძიდან ხელმარცხნივ ვიწყებთ ზიგზაგით დაშვებას ბენოს თემისაკენ. 2460 მ სიმაღლეზე ბილიკი გადის პატარა ქედზე და ეშვება მწვემსების საზაფხულო ქოხებისაკენ. ქოხებიდან მარშრუტი მარცხნივ, (1) კარგად გამოკვეთილი ბილიკით, გაუკლის ფიჭვნარის კორომს ზემოდან და ჩადის ნასოფლარში გულ. გზად შეგვხვდება წმ. გაბრიელის ეკლესია და ნამოსახლარები. სამარხილე გზით ჩავდივართ ს. ბაგდინარამდე საავტომობილო გზაზე დასმულ რკინის ბოძთან ვუხვევთ მარჯვნივ, ს. მაზკერამდე ათიოდე წუთის სავალია.

ს. ჟაბეშ – ს. ჰადიშ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი; სიგრძე: 12 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა (ქვეითად): 5-6 საათი
სიმაღლე: საწყისი 1650 მ; საბოლოო 2030 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 15 ივნისი – 15 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, კლდეებზე

მარშრუტი იწყება ს. ჟაბეშის ცენტრში არსებული სანიშნე ბოძიდან (1650 მ) (1) და საფეხმაგლო გზით სამხრეთისაკენ მიუყვება. ჩამომდინარე ღელის მარჯვენა სანაპიროს სოფლის ზემოთ მარჯვნივ გადავუსხვევთ, გადავალთ ღელეზე. ზემოთ გავუვლით სოფელს და შევდივართ არყის და როდოდენდრონების ბუჩქებით დაფარულ ტყეში. სიმაღლეს ვიდებთ ზიგზაგი ბილიკებით (2), სანამ არ ავალთ გრუნტის საავტომობილო გზაზე. მარცხნივ მივყვებით გზას. სამი სერფანტინის გავლის შემდეგ ჩვენ ტყეების ზემოთ ალაპურ ზოლში აღმოვჩნდებით 2700 მ სიმაღლეზე მდ. მულხურასა და ადიშისწყალის წყალგამყოფ ქედზე. შორს, დასავლეთით, ჩანს ს. წვირში, უღვირის უღელტეხილი და ზურულდის ქედი. აღმოსავლეთით ჩანს მწ. თეთნულდი (4860 მ)., აქ ბილიკი ხელმარჯვნივ გადაუხვევს (3), რომელსაც გავევებით. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ გზა იყრება. ბილიკი ეშვება სამხრეთისაკენ. მარკირება გვიჩვენებს, რომ მარჯვენა ბილიკზე უნდა გავაგრძელოთ მოძრაობა. სწრაფად ვეშვებით და ორი კილომეტრის გავლის შემდეგ 2350 მ სიმაღლეზე აღმოვჩნდებით მეორე გზაგასაყართან. (4) მივყვებით მარჯვენა ბილიკს, ეს ბილიკი მიგვიყვანს ფერმასთან, რომელიც გზიდან ქვეით რამდენიმე ასეულ მეტრშია. ცოტა ხნის შემდეგ ს. ადიშის ხედი (1) გამოჩნდება ჩვენ თავლწინ.

ს. ჟაბეშ – მყინვარი ტვიბეურ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი; სიგრძე: 11 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა: 6-7 საათი
საწყისი - 1650 მ; საბოლოო - 2310 მ.
გზის სახეობა: ბილიკი
სასურველი პერიოდი: 15 ივნისი - 20 სექტემბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, კლდეებზე

მარშრუტი იწყება ს. ჟაბეშში, (მესახლერეებთან საჭიროა რეგისტრაცია), საინფორმაციო ბოძიდან (1650 მ.) (1) გადადის მდ. მულხურას ხიდიზე. ბილიკი მდ. ტვიბერის მარჯვენა ნაპირით შედის კარიელის ვიწრო ხეობაში. 1600 მ-ზე ზღვის დონიდან შეგვხვდება საფორტიფიკაციო ნაგებობის ნანგრევები. ამ ხეობაში ქვებით ნაშენები ორი დიდი კარიბჭე ყოფილა აღმართული. აქ ჩრდილოეთიდან კავკასიონის წყალგამყოფი ქედის დაახლოებით 12 კმ-ან მონაკვეთზე ათამდე უღელტეხილია (ღეხხირ, ბაშილ, ლასხადარ, ტვიბერ, ყვითლოდ და სხვა). მათზე გამავალი საცალფეხო ბილიკები მდ.ტვიბერის აუზში იყრიან თავს და ამ ერთადერთი გასასვლელით – კარიელის ვიწრო ხეობით უკავშირდებიან მულახის თემს. სტარტიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე მივადგებით მეორე, ზედა კარიბჭეს (4), გავდივართ მაშელანის ვაკეზე და იქედან იალადებზე. შემდეგ ნაზვავზე და ვეშვებით მდინარის კალაპოტისაკენ. ეს მონაკვეთი დამრეცი და რთულია. აქედან მარშრუტის ძირითადი ორიენტირია დიებაჩის კლდოვანი მასივი. დიებაჩიდან (2290) ჩანს: აღმოსავლეთით – მყ. ყვითლოდ და მწ. ტიხტინგენი (4618); მის მარჯვნივ - სემის გადასასვლელი, პირდაპირ - მწვერვალი თოთ და ტვიბერის ყინულვარდნილი. აქედან თოვლიანი ფერდობით შევდივართ ლოდნარში, სადაც მინერალური წყაროს მარჯვენა მხარეს დიდ ლოდზე მონიშნულია ფინიშის მაუწყებელი სიმბოლო (9). სიმაღლე ზღვის დონიდან – 2310 მეტრია. ჩვენ თავლწინ, კავკასიონის გრანდიოზული პანორამა იშლება - აქ იკრიბება ჩრდილოეთის ცირკის მყინვარები (სერი, ტვიბერ, თოთ, ბაშილ, ძინალა) და აღმოსავლეთიდან მომავალი ყვითლოდის მყინვარი.

ს. ჰადიშ – ს. იფრაალ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი; სიგრძე: 16 კმ
მგზავრების ხანგრძლივობა (ქვეითად): 6-7 საათი
სიმაღლე: საწყისი 2030 მ; საბოლოო 1870 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 15 ივნისი – 15 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, კლდეებზე

მარშრუტი იწყება ს. ჰადიშში (2030 მ) (1), გადადის საცალფეხო ხილით მდ. ჰადიშისწყალზე ძველ წისქვილთან ახლოს. მარშრუტი მიუყვება მდინარე ჰადიშიჭალის მარჯვენა სანაპიროს. ბილიკიდან მარცხნივ ვხვდავთ წმ. გიორგის ეკლესიას და კოშკის ნანგრევებს. სტარტიდან დაახლოებით ერთი საათის სიარულის შემდეგ გამოჩნდება ჰადიშის ყინულვარდნილი, ბუნების უმშვენიერესი ძეგლი, სადაც სათავეს იღებს მდ. ჰადიშიჭალაი. ამ ადგილთან ახლოს (2390 მ) (2) გადაკვეთთ მდინარეს (მდინარის გადაკვეთა ადიდების შემთხვევაში საშიშია და ტურისტები ადგილობრივი მცხოვრებლებისგან ცხენებს ქირობენ მასზე გადასასვლელად) და მივყვებით ციცაბო აღმართს შერეულ ტყეში. ბილიკს ავყავართ ჩხუტნიერის უღელტეხილზე (3). აქიდან იშლება მშვენიერი პეიზაჟი. ხელისგულზე ჩანს მწვერვალები: თეთნულდ, ჟანდა, რუსთაველი, შხარა და სხვა (2720 მ) (3). 2200 მ-ზე ჩამოსვლის შემდეგ აღმოვჩნდებით მდინარე ხალდეჭალაითან და მივყვებით მდინარის მარჯვენა ნაპირს ს. ხალდემდე (1920 მ) (5). ხალდედან ისევ ვეშვებით ქვეით მარჯვენა ნაპირის პარალელურად ს. იფრაალში (1), აქ მარშრუტი მთავრდება. პირდაპირ ჩვენს წინ, ენგურის გასწვრივ დაახლოებით 1,5 კმ-ით დასავლეთით ჩანს სვანეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, კვირიკეს ტაძარი. თუ შემოვრჩათ საკმარისი ენერჯია, შეგიძლიათ ინახულოთ ეს ადგილებიც.

ს. იფრაალ – თემი უშგულ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი; სიგრძე: 10 კმ
მგზავრების ხანგრძლივობა (ქვეითად): 4-5 საათი
სიმაღლე: საწყისი 1870 მ; საბოლოო 2100 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე, საავტომობილო
სასურველი პერიოდი: 15 ივნისი – 30 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, კლდეებზე

მარშრუტი იწყება ს. იფრაალში 1870 მ სიმაღლეზე (1). აქედან ვეშვებით ს. ლალხორისკენ, საავტომობილო გზაზე ემოდრობთ მარცხნივ. გავივლით მდ. ხალდეჭალის ხიდს და საავტომობილო გზით შევალთ ს. დავებერში (3), რომელიც ძირითადად მდ. ენგურის გაღმა მდებარეობს. გადავალთ ხიდზე და სამარხილე გზით ემოდრობთ ტყის მიმართულებით. ტყეში შესვლის მერე გავუხვევთ მარჯვნივ. ემოდრობთ მდ. ენგურის პარალელურად დინების საწინააღმდეგოდ უშგულის მიმართულებით. უშგულში შესვლამდე ბილიკი შეუერთდება საავტომობილო გზას (5) და ორ კილომეტრში ს. უშგულში შედის (1). ს. იფრაალის დატოვებიდან ოთხ-ხუთ საათში ჩვენს წინ იშლება ლამაზი პანორამა – აღმოვჩნდებით შუა საუკუნეების კოშკებით გარშემორტყმულ ადგილას.

ს. დავებერ – ს. ჭველფ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 13 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა: 11-12 საათი
სიმაღლე: საწყისი - 1780 მ. საბოლოო - 1250 მ.
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 15 ივნისი – 20 სექტემბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე

მარშრუტი იწყება ს. დავებერში (1780 მ) (3) მდ. ენგურისა და მისი მარცხენა შენაკადის – მუშურის ღელის შესართავთან, ბილიკი მიუყვება მუშურის ღელის მარჯვენა ფერდს. გზად შეგვხვდება წყარო, სადაც წყალი უნდა მოიმარაგოთ. გზაგასაყარზე – 2100 მ სიმაღლეზე, მარცხნივ საავტომობილო გზას უნდა გაყვეთ. 2300 მ-ზე გზა იგაკებს, გადის მდელზე, შემდეგ არყნარში და დეკის ბუნქნარში. 2400 მ სიმაღლიდან ჩრდილოეთით მოჩანს თეთნულდის თოვლიანი კონუსი, ჩრდილო-დასავლეთით უშბის მასივი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – მუშურის მთა და გზის ორიენტირი - ორი სარეტრანსლაციო ანძა (5). 2600 მ უღელტეხილამდე მივყვებით საავტომობილო გზის გზას (3). ქედზე გამოჩნდება ტბა და კოშკურა ნაგებობა-ნიში – უღელტეხილის უმაღლესი წერტილი 2820 მ (9), აქედან გზა დასავლეთის ფერდით ეშვება მწყემსების ქოხის ნანგრევების მიმართულებით, რომლისკენაც სამეურნეო-საავტომობილო გზა ეშვება. ქოხიდან ბილიკი ბუნქნარში გადის, ჩაუვლის 3-4 მეტრიან კლდოვან ქიმს, საიდანაც სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოჩნდება ცხენისწყლის ხეობა, დასახლებული პუნქტები და ტბა ჭველფის მთაზე. გზა მინდვრებზე გადის და სერპანტინით ეშვება ტბის მიმართულებით. ფერდობის ძირში, მშრალ ღელესთან, ტბა და სასმელი წყალია. მინდვრებიდან გზა ტყეში შედის, ტბას მარჯვნივ მოიტოვებს და ს. ჭველფის მიმართულებით იღებს გზას. 1900 მ სიმაღლეზე მესაქონლეების ორი ქოხი დგას, საიდანაც ბილიკი 20 წუთის სავალზე სამარხილე გზას უერთდება, 1650 მ-ზე სახლის ნანგრევებს გაუვლის, სათიბებზე გადის და ფართო ღელით ს. ჭველფში (14) შედის.

თეძი უშგულ – მყინვარი შხარა

მარშრუტის სახეობა: ქვეითი; სიგრძე: 8 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა (ქვეითად): 5-6 საათი
სიმაღლე: საწყისი 2100 მ; საბოლოო 2400 მ
გზის სახეობა: ბილიკი, საავტომობილო
სასურველი პერიოდი: 15 ივნისი – 30 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, კლდეებზე

მარშრუტი იწყება უშგულის თემის ს. ჩაქაშში (2100 მ) (1). გაივლის ს. ჩვიბიანს და ს. ჟიბიანს, მარჯვენა მხარეს მოიტოვებს უმნიშვნელოვანეს ღვთისმშობლის (ლამარია) ტაძარს და ეშვება მდ. ენგურის ნაპირისაკენ. მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადავიდვართ ხიდზე (2) და ვაგრძელებთ მოძრაობას ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მდინარის დინების საპირისპიროდ. პირველი შვიდი კილომეტრის მანძილზე მარშრუტი მიუყვება სამეურნეო გზას. მარშრუტის დასაწყისიდან დაახლოების ნახევარი საათის შემდეგ თვალწინ იშლება ლამაზი ხედი მწ. შხარაზე (5204 მ) მწვერვალის წინ ვხედავთ თოვლით დაფარულ მთას, მარჯვნივ ჩანს ნამყვამის ყინულოვანი პლატო ხოლო მარცხნივ მწ. შხარა მყინვარით. მწვერვალი კარგი ორიენტირია. ვმოძრაობთ ამ მიმართულებით და მივიდვართ შხარის მყინვარის ძირთან. გზად რამდენიმე ადგილას გადაკვეთთ მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადებს, 2300მ სიმაღლეზე ვნახავთ მდ. ენგურის მარცხენა შენაკადს. მარშრუტი გადის მორენაზე და შევყავართ ტყეში. მორენის თავზე, 2390 მ სიმაღლეზე ჩვენ მივალწევთ მდ. ენგურის სათავეს (5). სამი მყინვარული შენაკადი ფორმას იძენს შხარას კლდოვან ფერდებზე და 3000 მ სიმაღლეზე უერთდება შხარის მყინვარს. მყინვარის ქვედა ნაწილი დაფარულია ქვების და ტალახის კონგლომერატით. მყინვარის სიღრმიდან გაღმოედინება მდინარე ენგური.

თემი უშგულ – ს. მამ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 23 კმ
მგზავრების ხანგრძლივობა (ქვეითად): 11 საათი
სიმაღლე: საწყისი 2100 მ; საბოლოო 1100 მ
უმაღლესი ნიშნული: 2900 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 1 ივლისი – 15 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, ხის ბოძებზე

მარშრუტი იწყება უშგულის თემის ს. ჩაქაში ხიდთან დადგმულ რკინის სანიშნე ბოძიდან 2100 მ-ზე(1), გაივლის უშგულის ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, მდ. ენგურის გასწვრივ ეშვება ს. შურყმელისაკენ, დელესთან (2) უხვევს ხელმარცხნივ და სამრხილე გზით მიემართება ქედის მიმართულებით. 2150 მ სიმაღლეზე დედე იყოფა ორ შენაკადად. მარშრუტი მიყვება მარჯვენა შენაკადს. 2350 მ სიმაღლეზე გზა გადის როდოდენდრონების ბუჩქნარში. 2600 მ სიმაღლეზე ხის ბოძიდან (4)ხელმარჯვნივ მარშრუტი თითქმის პორიზონტალურად მიყვება კარგად გამოკვეთილ ბილიკს გორვასის უღელტეხილის მისადგომებამდე და ადის უღელტეხილზე (6), სადაც დგას რკინის რკინის სანიშნე ბოძი წარწერებით. ქედზე ვმოძრაობთ მარჯვნივ, დასავლეთისკენ. სიმაღლე მერყეობს 2750-2890 მ ფარგლებში. ბილიკი ქედზე მდებარე კლდეებს გვერდს აუვლის მარცხნიდან და მიაღებება მეორე ტბას (8), რომელსაც გაუვლის მარცხნიდან. შემდეგ სერპანტინით მიემართება მარჯვნივ ქედის ჩადაბლებაზე; გვეჩვენება, რომ უღელტეხილზე ვართ. ვაგრძელებთ მოძრაობას მარჯვნივ, პორიზონტალურად, გამოჩნდება მესამე ტბა და ორი, კოშკის ფორმის ქვებით აგებული, ნიშა. აქვე დგას რკინის სანიშნე ბოძი ოთხი მიმართულების მაჩვენებელი აბრით: “უშგული”, “მამი”, “იფრალი”, “ჭველფი”. ეს ლატფარის უღელტეხილია (9). უშგულიდან ლატფარამდე 5.5 საათის სავალია. უღ. ლატფარიდან ბილიკი სვანეთის ქედის სამხრეთ ფერდობით ეშვება ს. მამისკენ. ბილიკი მიყვება კლდოვან რელიეფს, მარკირებულია ქვებზე, კლდეებზე და კარგად იკითხება. სამხრეთით მუდმივად ჩანს მდ. ცხენისწყლის ხეობა (13) და ქვემო სვანეთის სოფლები სხვადასხვა რაკურსით. გზა გადაკვეთს რამოდენიმე დედე და 2600 მ სიმაღლიდან ვრცელი იალაღებით ეშვება დაბლა (12). ტყეში შესასვლელთან ბილიკის ხელმარჯვნივ არის წყარო, ცოტა დაბლა მინდორში დაას მწიფისების ორი საზაფხულო პოხი

თემი წვირმი – ს. ჟაბეშ თემი წვირმი – ს. ჰადიშ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო;
სიგრძე: 10 კმ 12 კმ
მგზავრების ხანგრძლივობა: 6 საათი 7 საათი
სიმაღლე: საწყისი 1900 მ; ბოლო 1600 მ 2030 მ
გზის სახეობა: ბილიკი, საავტომობილო გზა
სასურველი პერიოდი: 15 ივნისი – 30 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე

მარშრუტი იწყება ს. წვირმის ცენტრში მდებარე სამარკირე ბოძიდან (1900 მ) (1). მოძრაობას ვიწყებთ აღმოსავლეთისკენ მწვერვალ თეთნულდის მიმართულებით. უნდა ვიმოძრაოთ გრუნტის გზით უღვირის უღელტეხილისაკენ. წვირმიდან დაახლოებით 3 კმ-ზე, უღვირის უღელტეხილზე, მარშრუტი გადაკვეთს მესტია-უშგულის საავტომობილო გზას, სადაც დგას რკინის სანიშნე ბოძი (2). აქედან შეიძლება დავბრუნდეთ მესტიაში საავტომობილო გზით (მესტიაზე 12 კმ-ია), ან გავაგრძელოთ სვლა საავტომობილო გზით, მწვერვალ თეთნულდის მიმართულებით, რომელიც შედის ტყეში და მდორე აღმართით 2370 მ-ზე ს. ჟაბეშიდან ს. ადიში მიმავალ ბილიკთან მიგვიყვანს. აქაც დადგმულია სანიშნე ბოძი. აქედან სურვილისამებრ შეიძლება სვლა გავაგრძელოთ ჟაბეშისაკენ და იქიდან დავბრუნდეთ მესტიაში, ან წავიდეთ ადიში და იქედან უშგულში. (გამოიყენეთ ჟაბეშ-ჰადიშის არწერილობა.

ს. მაზერ – ს. ეცერ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 15 კმ
მგზავრების ხანგრძლივობა (ქვეითად): 8 საათი
სიმაღლე: საწყისი 1700 მ; საბოლოო 1450 მ
უმაღლესი ნიშნული: 2460 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 15 ივლისი – 30 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, ხის ბოძებზე

მარშრუტი იწყება ს. მაზერის ცენტრში დაყენებულ რკინის სანიშნე ბოძიდან (1700 მ) (1), გაივლის სოფლის გზაზე დაყენებულ მეორე რკინის სანიშნე ბოძთან, ეშვება მდ. დოლრას მიმართულებით და გადადის ს. ტეგების ხიდზე, სადაც გზა ორად იყოფა. მარშრუტი სამარხილე გზით გრძელდება ხელმარცხნივ მდინარის დინების მიმართულებით ს. ტეგებისაკენ. სოფლის თავზე გზა გადის დელეში (3), უხვევს მარცხნივ და ციცაბო აღმართით შედის ნაძვანში. სიმაღლის მატებასთან ერთად ტყე მეჩხერდება, ზემოთ და ზემოთ ჭარბობს ფოთლოვანი ტყე. მარშრუტიდან უკან, ვიდრე უღელტეხილამდე მუდმივად ჩანს მწ. უშბა და მაზერი. 2230 მ მარშრუტი გადის მინდორში. აქედან მარკირებისათვის შიგადაშიგ მარკირებისათვის გამოიყენება ხის ბოძები. ამგვარი პირველი ბოძიდან სამხრეთით ჩანს სვანეთის ქედი, ხოლო პირდაპირ ბორცვზე – მეზირის მთავარანგელოზების ეკლესია (5), საითაც მიემართება სამარხილე გზა.
ეკლესიიდან მეჩხერი არყნარის გავლით ვიღებთ სიმაღლეს. 2300 მ-ზე გზა ოდნავ გაივსება, უხვევს მარჯვნივ და შემდეგ ისევ ადის აღმართში. ეს ბოლო დამღლევი აღმართია, ჩვენ ბაკის უღელტეხილზე (8) ავდივართ. უღელტეხილიდან სამარხილე გზა ცვალებადი რელიეფით როდოდენდრონის ბუჩქნარში გადის. სიმაღლე მერყეობს 2400-2450 მ ნიშნულებს შორის. 2450 მ-დან, სადაც დასმულია ბოლო ხის სანიშნე ბოძი, სამარხილე გზით ვეშვებით ეცერისაკენ. ჩრდილოეთით ჩანს ჩირინდას მთიანი მასივის დათოვლილი კლდოვანი მწვერვალი და ალაპური ქედები. ჩავუვლით ეცერის თემის სოფლებს – ჭერილს, ბარშს, ქურაშს, ისკარს. გავდივართ მოსაცდელ ბაქანთან, სადაც დგას სანიშნე ბოძი (1). სიმაღლე 1450 მეტრია.

ს. მაზერ – მყინვარი უშბა

მარშრუტის სახეობა: ქვეითი; სიგრძე: 9.5 კმ
მგზავრების ხანგრძლივობა: 8-9 საათი
სიმაღლე: საწყისი - 1700 მ; საბოლოო - 2700 მ.
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 1 ივლისი - 15 ოქტომბერი
მარკირება: ხეებზე, ლოდებზე, კლდეებზე

მარშრუტი იწყება ს. მაზერში, საინფორმაციო ბოძიდან (1700 მ) (1), სოფლის გზით გადადის მდ. დოლრას ხიდზე (1600 მ. ზღვის დონიდან), მიუყვება მდინარის მარჯვენა ნაპირს, დაახლოებით მეხუთე კილომეტრზე გადადის მდ. დოლრას მარცხენა ნაპირზე, შედის დაბურულ ტყეში, ხელმარჯვნივ მოიტოვებს მორებით ნაშენებ მესაზღვრეთა ქოხს (აქ საჭიროა რეგისტრაცია) და მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. დაახლოებით 2000 მეტრზე ზღვის დონიდან ბილიკი ტყიდან გადის მორენაზე, რომლის ორივე მხარეს შეინიშნება ნაზვავი. აქედან იწყება მარშრუტის შედარებით რთული მონაკვეთი. ბილიკი მიუყვება ბალახოვან საფარს, რომელიც შიგადაშიგ იცვლება ლოდნარით. ზემოთ ვხედავთ მარშრუტის მთავარ ორიენტირს – ჩანჩქერების პლატოს, მორენის თავში ბილიკი ფრონტალურად შეუყვება ციცაბო თხემს. ეს, დაახლოებით 200 მეტრიანი მონაკვეთია. მივადგებით კლდეებს, რომლებზეც ჩანჩქერები გადმოედინება. აქ ვუხვევთ მარცხნივ კლდეების ბოლოში მდებარე გასასვლელისკენ, თითქმის კლდეების ბოლოში. ავდივართ კლდეების თავზე და ვმოძრაობთ მარჯვნივ ჩანჩქერების თავზე, სადაც დაახლოებით 2500მ-ზე გადავკვეთთ სამი ჩანჩქერების წარმომქმნელ ნაკადებს (8). აქედან უკვე ჩანს ორთავა უშბა. მარშრუტი გადის თხემზე, რომელიც ნაზვავი თოვლითაა დაფარული. დაახლოებით ნახევარი საათის სავალზე ბილიკი გაყვება მეოთხე, ყველაზე დიდი ჩანჩქერის წარმომქმნელი ნაკადის მარჯვენა ნაპირს, რომელიც უშუალოდ უშბის მყინვარიდან იღებს სათავეს. აქედან გავდივართ უშბის მყინვარზე (2700მ) (9), აქიდან ჩანს ორთავა უშბის გრანდიოზული კლდოვანი მასივი (4710 და 4690მ) და სამხრეთით - მაზერის პიკის (4012მ) ქარაფები.

ს. მაზერ – ს. მაცხვარიშ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 9,4 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა: 6 სთ
სიმაღლე: საწყისი 1700 მ საბოლოო 1350 მ
გზის სახეობა: გრუნტის, ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 15 მაისი – 30 თქტომბერი

მარშრუტი იწყება ს. მაზერიდან (1700 მ) (1) და მიემართება ს. უშხვანარის მიმართულებით. ამ მონაკვეთში ძალზედ კარგად მოჩანს კავკასიონის ერთ-ერთი გამორჩეული მწ. უშხა. ს. უშხვანარში მთავარი გზის გადასახვევიდან (2) მარშრუტი თავდაპირველად სახლებს შორის მდებარე ვიწრო სამარხილე გზას მიუყვება, შემდგომ კი საფეხმავლო ბილიკით ტყეში შედის, სადაც არცთუ დიდი დახრილობის აღმართია. აღმართის დასასრულს გზა სწორდება და რამდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდგომ ვეშვებით მინდორში, სადაც კერძო სათიბებია. აქვე შესაძლებელია მცირე შესვენების მოწყობაც (ადგილი გამოდგება საკარვედაც). აღნიშნული ადგილიდან მარშრუტი მცირე დახრილობის აღმართს მიყვება, რომელსაც უდ. ბააღზე მიყვავართ (3). უდ. ბააღიდან რამდენიმე მარშრუტის გადაკვეთის ადგილია და სურვილისამებრ გზის გაგრძელებაც სხვადასხვა მიმართულებით არის შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ უღელტეხილიდან შესანიშნავი ხედი იშლება მდ. ენგურის ხეობაზე და მასში განლაგებულ ლატალის თემის სოფლებზე, სვანეთის ქედსა და მის ულამაზეს მწ. ლაპილზე. უღელტეხილიდან მარშრუტი ს. იფხის მიმართულებით გრძელდება და სამარხილე გზას მიუყვება. ს. იფხიდან (5) კი გრუნტის გზით ვეშვებით ს. მაცხვარიშში და გავდივართ ზუგდიდი-მესტიის მთავარ საავტომობილო გზატკეცილთან (1).

ს. მაცხვარიშ – ს. ქაშეთ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, სიგრძე: 11,7 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა: 7 სთ
სიმაღლე: საწყისი 1350 მ საბოლოო 1340 მ
გზის სახეობა: გრუნტის, ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 15 მაისი – 30 თქტომბერი

მარშრუტი იწყება ს. მაცხვარიშში (1350 მ) (1) და ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალით მიემართება აღმოსავლეთისაკენ. დასახლების ბოლოს ჩავუხვევთ ს. ლახუშდისკენ მიმავალ სასოფლო გზაზე. მდ. მულხურას რკინის ხიდზე გადასვლის შემდეგ მარშრუტი გზიდან ხელმარცხნივ გადადის ტყეში შემავალ ბილიკზე (2). აქედან ბილიკი ს. ქაშეთის მიმართულებით, ტყეში მიუყვება მდ. მულხურას მარცხენა ნაპირს, დინების საწინააღმდეგოდ. ამ მონაკვეთში ბილიკი ძირითადად ადვილად სავალია, მხოლოდ ერთ მონაკვეთში არის მდინარის მიერ წაღებული გზა, რომელზეც ზემოდან ხდება მოვლა. შემდეგ ბილიკი გადის გაშლილ მინდორზე, საიდანაც კარგად ჩანს ლენჯერის თემის სოფლები. სოფლისკენ ჯერ მიდის ბილიკი, ხოლო შემდეგ სამარხილე გზა. მდ. მულხურას გადაკვეთამდე გვხვდება მინერალური წყარო (3). სამარხილე გზა გადადის მდინარის მარჯვენა მხარეს და მიუყვება მდინარის პირს ს. ქაშეთი-ნასოფ. კეშკილის დამაკავშირებელ გზაზე მდებარე ხილამდე. აქ მარშრუტი ორად იყოფა: ხელმარჯვნივ 0.7 კმ-ში ს. ქაშეთია, სადაც ავდივართ სამარხილე გზით. ამ სოფელში ცხოვრობენ ადგილობრივი ფოლკლორის უზადო შემსრულებლები, ფილფანების ოჯახი, მათვე აქვთ ოჯახური სასტუმრო.

ს. ქაშვეთ – დ. მესტია

ს. ქაშვეთ – ს. წვირმი

მარშრუტის სახეობა: ქვეითი

სიგრძე: 9 კმ

11 კმ

მგზავრობის ხანგრძლივობა: 4 სთ

7 სთ

სიმაღლე: საწყისი 1340 მ საბოლოო 1400 მ

1900 მ

გზის სახეობა: გრუნტის, საავტომობილო, ბილიკი

სასურველი პერიოდი: 15 მაისი – 30 ნოემბერი

მარშრუტი იწყება ს. ქაშვეთში (1340) (3). ხელმარჯვნივ მდ. მუღხურაზე გადებული ხიდის გადავლით ნასოფლარ ჰეშკილისკენ მიემართება სამარხილე გზა. მარშრუტის ეს მონაკვეთი ძლიერ დახრილია. აღსანიშნავია, რომ გზადაგზა შესანიშნავი ხედი იშლება მდ. ენგურის ხეობაზე, ლენჯერის თემის სოფლებზე, კაკასიონის ქედზე და მწ. უშბაზე, ხოლო უღელტეხილის გადასვლის შემდეგ სვანეთის ქედსა და მის მწ. ლაჰილზე. უღელტეხილზე ასვლის შემდეგ ნასოფლარ ჰეშკილისკენ მიემართება გრუნტის გზა, რომელიც უერთდება მესტია-წვირმის საავტომობილო გრუნტის გზას (4). ნასოფლარში რამოდენიმე ნახევრად დანგრეული კოშკის და ეკლესიის დათვალიერებაა შესაძლებელი. აქიდან შეგვიძლია მოძრაობა გავაგრძელოთ დ. მესტიის ან წვირმის თემისკენ, ან უკან ს. ქაშვეთისკენ. აქ ვისარგებლოთ მესტია – წვირმის აღწერილობით.

თემი ეცერ – თემი ცხუმარ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 6.8 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა (ქვეითად): 4 სთ
სიმაღლე: საწყისი 1440 მ; საბოლოო 1220 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე
სასურველი პერიოდი: 15 მაისი – 30 ოქტომბერი

მარშრუტი იწყება ეცერის თემში, საავტომობილო გზაზე მდებარე საცდელიდან (1), ვმოდრობთ აღმოსავლეთისაკენ, 300 მეტრში ჩაუხსვევთ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და მარშრუტს ვაგრძელებთ ს. ლანტელისა და ს. კალაშისაკენ. აქ მარშრუტი სამარხილე გზის ოდნავ დახრილ დაღმართს მიუყვება. მარშრუტი უშუალოდ სოფლებზე გადის და ამიტომ შესაძლებლობას გვაძლევს დავათვალიეროთ სვანური სოფლების ყოფა. ს. კალაშის ბოლოს მცირე ტაძარია, საიდანაც მარშრუტი ასევე სამარხილე გზას მიუყვება და მდ. ენგურზე გადებული დაკიდული ხიდით ტყეში შედის. ტყეში მარშრუტი საფენმაგლო ბილიკს მიუყვება და სრულად მდ. ენგურის ციცაბო მარცხენა ფერდობს გასდევს. ტყის დასასრულს მარშრუტი ღია, ვრცელ მდელოზე გადის, სადაც კერძო სათიბებია. აქედან კარგად მოჩანს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ერთ-ერთი განშტოების ლამაზი მწვერვალი შტავლერ და სვანეთის ქედის ჩრდილო ფერდობები. აღნიშნული ადგილიდან მარშრუტი ცხუმარის თემის სოფლების მიმართულებით გრძელდება და ს. ღვებაღდში შედის, სადაც იგი ვიწრო ორდობეს მიუყვება. ვაგრძელებთ გზას, გავივლით ს. სვიფს, კვლავ ვაგრძელებთ მოძრაობას. საჯარო სკოლასთან გზა მარჯვნივ უხვევს (1) ს. ტვიბერისაკენ. აქ მარშრუტი მთავრდება.

თემი ეცერ – ს. მაცხვარიში

მარშრუტის სახეობა: ქვეითი; სიგრძე: 11 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა (ქვეითად): 7 სთ
სიმაღლე: საწყისი 1440 მ; საბოლოო 1340 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე, საავტომობილო
სასურველი პერიოდი: 1 მაისი – 15 ოქტომბერი

მარშრუტი იწყება ეცერის თემში ცენტრალურ საავტომობილო გზაზე საცდელიდან (1440 მ) (1). თავდაპირველად ის მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით, გავივლით რა ეცერის თემის რამდენიმე სოფელს, ამ მონაკვეთში გზა მიდის აღმართში და თანდათანობით იშლება მშვენიერი ხედი სვანეთის ქედზე. ბილიკი ისევ აღმართში მიდის. გზად გადავკვეთთ ღელეს, აქედან ვუხვევთ მარჯვნივ (10), და შევდივართ ს. ქურაშში, სადაც მდებარეობს წმ. გიორგის სახელობის ტაძარი. ბილიკი ისევ აღმართში მიდის, მიადწევს 1770 მეტრიან ნიშნულს, საიდანაც დაღმართი იწყება. ტაძრიდან ს. ჰებუღამდე ბილიკი სხვადასხვა გარემოში გადის – ბუნქნარში, ტყეში, ტყეს კი მცირე მდელოები ცვლის. სწორედ ასეთი მდელოებიდან მოჩანს მარშრუტის სავიზიტო ბარათი მწ. უშბა, რომელიც ს. ჰებუღთან (3) მთელი თავისი მშვენიერებით წარმოგვიდგება. ბილიკი სწორედ სოფლის შუაგულში გადის, სადაც სვანური სოფლის ცხოვრების უშუალო მონაწილე ვხდებით. ს. ჰებუღიდან გამოსული ვაკეთით მცირე ღელეს და ვადგებით ბილიკს, რომელსაც ჩაყვავართ ს. დოღში. აქედან მარშრუტი მიუყვება ს. მაზრისკენ მიმავალ ასფალტიან გზას, სადაც მდებარეობს მჭავე წყალი. აქედან ბილიკი უხვევს მარჯვნივ (4), ტყისკენ იღებს გეზს. ბილიკს აღმართში მივყავართ, ჩრდილოეთით მწ. უშბა და ბენოს თემის სოფლები მოჩანს, სამხრეთით კი სვანეთის ქედი, მისი უმაღლესი მწ. ლაჰილ (4009 მ). უღელტეხილიდან ბილიკი საავტომობილო გრუნტის გზას მიუყვება, შევდივართ ს. იფხში (5) და კვლავ დაღმართში ვეშვებით, გავივლით ლატლის თემის სოფლებს და მივალთ ს. მაცხვარიში (1).

თემა ცხუმარ – კასტული მღვიმე

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 11 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა (ქვეითად): 5 სთ
სიმაღლე: საწყისი 1220 მ; საბოლოო 2670 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე, საავტომობილო
სასურველი პერიოდი: 1 ივნისი – 15 ოქტომბერი

მარშრუტი იწყება ცხუმარის თემის ს. სვიფში სკოლასთან (1), საიდანაც მიემართება ს. ტვიბერისაკენ, სოფლიდან ბილიკი სამხრეთისაკენ ტყეში მიმავალ გზას მიუყვება. აქ სიმაღლის მატებასთან ერთად უფრო და უფრო ლამაზი ხედი იშლება მდ. დოღრას ხეობაზე. წიწვოვან ტყეში გამავალი ბილიკი საკმაოდ გრძელია, თუმცა მშვენიერი ხედები და სუფთა ჰაერი სასიამოვნის ხდის სიარულს. გზად საქონლის საზაფხულო სადგომებიც შეგვხვდება, სწორედ მესამე სადგომთან მთავრდება ტყის ზოლი და იწყება სუბალპური ზონა. აქ უკვე შეგვიძლია დავტკბეთ მწ. უშბის ცქერით. აქედან მარშრუტი კვლავ აღმართში მიდის, შემდეგ კვლავ სწორდება. სწორედ აქ მდებარეობს მწ. ლაჰილის და კარსტული მღვიმის მარშრუტების გზაგასაყარი.

კარსტული მღვიმისკენ ბილიკი მარცხნივ უხვევს კირქვული მასივისაკენ, ბილიკი გადაკვეთს პატარა მდინარეს და მცირე აღმართის შემდეგ მოსწორებულ ადგილზე გადის, სადაც, სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა კარვების გაშლა. მღვიმემდე მისასვლელი ხან დაღმართში ჩადის, ხანაც სწორ ადგილს მიუყვება. რამდენიმე ადგილას დეკის ბუჩქნარსაც გაივლის და საბოლოოდ მიუყვება ქვიან ნასაღს, ნაშალის ბოლოს დაყენებული ნიშნული კი მიუთითებს მღვიმის მდებარეობას (3). მღვიმეში არსებული ყინულოვანი სვეტები და კარსტული ფორმები საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. (მღვიმემდე ასასვლელად და შიგნით შესასვლელად საჭიროა სპეცტექნიკა)

თემა ცხუმარ – მწ. ლაჰლა

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო; სიგრძე: 14 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა (ქვეითად): 2 დღე
სიმაღლე: საწყისი 1220 მ; საბოლოო 4009 მ
გზის სახეობა: ბილიკი, სამარხილე, საავტომობილო
სასურველი პერიოდი: 1 ივნისი – 15 ოქტომბერი

აქამდე ვსარგებლობთ ცხუმარ-კარსტული მღვიმის აღწერილობით

მწვერვალთან მისასვლელად საჭიროა უდ. ჭიშმის გავლა პირდაპირ ციცაბო აღმართში (1100-1300 მ) უღელტეხილამდე. რის შემდეგაც ბუნება დამსახურებულ ჯიღლოს უმზადებს მნახველს: მწ. ლაჰლა, მისი ფერდობებიდან დაშვებულ მყინვარები და ჩანჩქერები მოულოდნელად იშლება ჩვენს თვალწინ. თუ გაგვიმართლებს, შურთხების და მთის არწივების თვალიერებასაც მოვახერხებთ. უღელტეხილიდან ბილიკი მყინვარისკენ ეშვება, სადაც მდებარეობს ღამის გასათევი ადგილი. აქიდან უსაფრთხოების მიზნით საჭიროა დაზღვევის ქამრებით და თოკებით გავაგრძელოთ მოძრაობა მწვერვალამდე.

ს. ჰალიში – მწ. თეთნულდ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო, ალპინისტური
სიგრძე მწ. თეთნულდამდე: 12.5 კმ
სიგრძე პირველ დამისსათევამდე: 7.2 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა: მწ. თეთნულდამდე: 4 დღე
მგზავრობის ხანგრძლივობა პირველ დამისსათევამდე: 5 სთ
სიმაღლე: საწყისი 2080 მ; საბოლოო 4858 მ

მარშრუტი იწყებასვანეთის ერთ-ერთ ულამაზეს ს.
ადიშიდან. სოფელში ათამდე კოშკი და რამოდენიმე
ეკლესიაა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია წმ.
გიორგის გარედან და შიგნიდან მოხატული ტაძარი. ს.
ადიშიდან მარშრუტი მიუყვება ს. ხალდესა და ს.
ივრალისკენ მიმავალ ძველ სამარხილე გზას. რამოდენიმე
ასეული მეტრის გაელის შემდეგ, დანგრეულ კოშკთან
ბილიკი უხვევს გზიდან ხელმარცხნივ და მიემართება
ჩრდილოეთის მიმართულებით. გაივლის მცირე ფიჭვნარს და
ადის ალპურ მდელოზე. აქედან მარშრუტი გაივლის მცირე
დეკიანს და სიმაღლის უტაპობრივი მატებით მიემართება
მწვერვალის ძირას არსებულ პირველ დამის სათევამდე,
რომელიც ყოფილი მყინვარის ბოლოს მორენასთან
მდებარეობს. დამის სათევიდან აღმოსავლეთისაკენ მსხვილი
ქვიანი აღმართით ავდივართ კარგად გამოკვეთილი
უნაგირისაკენ (საკარვე), უნაგირიდან მარცხნივ,
ჩრდილოეთისაკენ, ე.წ. დაფაზე ვაგრძელებთ მოძრაობას
პლატომდე (საკარვე ადგილი). პლატოს ხელმარჯვნივ
წრიულად შემოვუვლით, ჩვენს წინ კარგად გამოკვეთილ
ქედზე ვჯდებით მარცხენა უკიდურეს დაბალ მხარეს და
ვმოძრაობთ მარჯვნივ, მწვერვალის სამხრეთ-დასავლეთის
ექსპოზიციის ქედისაკენ უნაგირამდე (დამისსათევი). აქიდან
ქედზე მარცხნივ მწვერვალამდე. (მარშრუტის გაელა
რეკომენდირებულია მხოლოდ ალპინისტური გამოცდილების
მქონე პირებისათვის).

ს. ჟაბეში – მწ. თეთნულდ

მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო, ალპინისტური
სიგრძე მწ. თეთნულდამდე: 18.9 კმ
სიგრძე პირველ დამისსათევამდე: 13.5 კმ
მგზავრობის ხანგრძლივობა მწ. თეთნულდამდე: 4 დღე
მგზავრობის ხანგრძლივობა პირველ დამისსათევამდე: 8 სთ
სიმაღლეები: საწყისი 1660 მ; საბოლოო 4858 მ

მარშრუტი იწყება ს. ჟაბეშის ცენტრში არსებული სანიშნე
ბოდიდან (1650 მ) (1) და საფეხმავლო გზით სამხრეთისაკენ
მიუყვება. ჩამომდინარე დელის მარჯვენა სანაპიროს
სოფლის ზემოთ მარჯვნივ გადავუხვევთ, გადავალთ
დელეზე. ზემოთ გაუვლის სოფელს და შედის არეის და
როდოდენდრონების ბუნქებით დაფარულ ტყეში. სიმაღლეს
ვიღებთ ზოგადად ბილიკებით (2), სანამ არ ავალთ გრუნტის
საავტომობილო გზაზე. მარცხნივ მიუყვებით გზას.
სურფანტინებით ვიღებთ სიმაღლეს, ხელმარჯვნივ ბილიკი
ეშვება ს. ადიშისაკენ. ჩვენ კვლავ ვიღებთ სიმაღლეს.
მარჯვენა მხარეს ბევრი ბილიკი გადის, ვიზუალურად უნდა
განვსაზღვროთ რომელი ბილიკით მოვხვდებით პირველ
დამის სათევეზე, კლდეების და ალპური მდელოების
გასაყარზე და გავყვეთ ამ ბილიკს.
(შემდგომ ისარგებლეთ ჰალიში-თეთნულდის აღწერილობით)